ა ნაწილი - არჩევითპასუხიანი კითხვები

შენიშვნა: ყველა კითხვა ორქულიანია

1. 2018 წლის აპრილში შემოსავლების სამსახურის მიერ გადამხდელისგან გამოთხოვილი იქნა შემოწმების პროცესის დაგეგმვისთვის აუცილებელი ინფორმაცია (შესავსები ექსელის ფაილი რაც ეგზავნებათ შესავსებად იმ კომპანიებს რომლებთანაც უნდა ჩატარდეს საგადასახადო შემოწმება), რაც გადამხდელის მიერ არ იქნა შევსებული შემოსავლების სამსახურის მიერ მითითებულ ვადაში. შემმოწმებლების მიერ გამოვლენილი იქნა, რომ ანალოგიური ქმედებისათვის გადამხდელი დაჯარიმებულია 2018 წლის მარტის თვეში.

რამდენს შეადგენს 2018 წლის აპრილის თვეში საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის თანხა?

ა 400 ლარი

ბ 1,000 ლარი

გ ნული

დ 200 ლარი

2. 2017 წლის 16 მაისს საზოგადოებამ ჰონგ კონგში რეგისტრირებულ (შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანა - „ოფშორი“) არარეზიდენტ კომპანიას გადაურიცხა საქართველოს ტერიტორიაზე ჩატარებული ტრენინგის ღირებულება 26,000 ლარი (ეკვივალენტი უცხოურ ვალუტაში). 2017 წლის მაისის თვის საშემოსავლო გადასახადის დეკლარაცია გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილია 2018 წლის 3 მაისს.

რამდენია არარეზიდენტისთვის გადახდის წყაროსთან დასაკავებელი გადასახადის სიდიდე და დეკლარაციის წარდგენის ვადის დარღვევისათვის განსაზღვრული ჯარიმის თანხა?

	არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის სიდიდე	*ჯარიმის თანხა*
ა	3,900 ლარი	585 ლარი
ბ	2,600 ლარი	260 ლარი
გ	3,900 ლარი	390 ლარი
დ	2,600 ლარი	390 ლარი

3. საგადასახადო შემოწმების პროცესში, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგინდა, რომ გადამხდელის მიერ უსაქონლო ოპერაციაზე გამოწერილია ეა-501974 საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, ღირებულებით 118,000 ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით.

რამდენია სამართალდარღვევისთვის საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ჯარიმის თანხა?

ა 9,000 ლარი

ბ 18,000 ლარი

გ 27,000 ლარი

დ 36,000 ლარი

4. წაიკითხეთ ქვემოთ მოყვენილი 4 მსჯელობა:

1. საგადასახადო ორგანოებისაგან მიიღოს ინფორმაცია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის შესახებ, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს მის შესახებ საგადასახადო ორგანოებში არსებულ ინფორმაციას;
2. პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით წარმოადგინოს საკუთარი ინტერესები საგადასახადო ორგანოში;
3. წინასწარ მოითხოვოს საგადასახადო ორგანოსგან ინფორმაცია მის მიმართ ჩასატარებელი საგადასახადო კონტროლის ღონისძიებების ჩატარების შესახებ;
4. დაიბრუნოს ან/და მომავალ საგადასახადო ვალდებულებათა ანგარიშში ჩაითვალოს ზედმეტად გადახდილი გადასახადის ან/და სანქციის (მათ შორის, საბაჟო სანქციის) თანხა.

ზემოთ ჩამოთვლთაგან, რისი უფლება აქვს გადასახადის გადამხდელს:

ა) 1, 3 და 4 პუნქტში აღნიშნული უფლებები.

ბ) 1, 2 და 4 პუნქტში აღნიშნული უფლებები.

გ) 1, 2 და 3 პუნქტში აღნიშნული უფლებები.

დ) ყველა ჩამოთვლილი უფლება.

5. ვის მიერ სრულდება საგადასახადო ვალდებულება საწარმოს ლიკვიდაციის დროს?

ა) საწარმოს ქონების მესაკუთრეების მიერ.

ბ) საწარმოს სალიკვიდაციო კომისიის მიერ.

გ) საწარმოს დებიტორების მიერ.

დ) არბიტრაჟის მიერ.

6. რა არის საგადასახადო დავის დაწყების ფორმალური საფუძველი:

ა) საგადასახადო ორგანოს ან გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა;

ბ) გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა;

გ) საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის წარდგენილი „საგადასახადო მოთხოვნა“;

დ) საგადასახადო ორგანოს მიერ საგადასახადო კოდექსით დადგენილი ვალდებულებების დარღვევა

7. საგადასახადო შემოწმების შედეგად დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში სათანადო მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის

ა) საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით;

ბ) შემოსავლების სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს ქვემდებარეობის მიხედვით

გ) სასამართლო უწყებას;

დ) საჯარო რეესტრის შესაბამის უწყებას.

8. ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ ექვემდებარება:

ა) საქონლის უსასყიდლოდ მიწოდება დაქირავებულ პირზე;

ბ) საქონლის მიწოდება ურთიერთდამოკიდებულ პირზე;

გ) საქონლის დანაკლისი;

დ) ადგილობრივი თვითმმართველობისათვის საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა ან/და მომსახურების უსასყიდლოდ გაწევა;

9. რეზიდენტმა საწარმომ არარეზიდენტი საწარმოსთვის გადარიცხული დივიდენდიდან არ დააკვა საშემოსავლო გადასახადი და არ ასახა დეკლარაციაში, ხოლო მიმღებს აღნიშნული შემოსავალი არ დაუდეკლარირებია.

ა) მიღებული დივიდენდის შემთხვევაში, არარეზიდენტ საწარმოს წარმოეშობა საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება.

ბ) დივიდენდის გამცემი საწარმო ვალდებული არ იყო დივიდენდის გადახდისას დაეკავებინა შაშემოსავლო გადასახადი.

გ) დივიდენდის გამცემი საწარმო ვალდებული იყო დივიდენდის გადახდისას დაეკავებინა საშემოსავლო და გადაეხადა მოგების გადასახადი.

დ) მიღებული დივიდენდის შემთხვევაში, არარეზიდენტ საწარმოს წარმოეშობა საშემოსავლო გადასახადის დეკლარირების ვალდებულება.

10. 2019 წლის 21 ოქტომბერს დადგინდა, რომ საზოგადოების ავტოგასამართ სადგურში მრიცხველ მექანიზმზე არ არის საგადასახადო ორგანოს ლუქი. ეს სამართალდარღვევა საზოგადოებაში აღმოჩენილია მეორედ, უწყვეტი 12 თვის ვადაში.

რამდენია ამ სამართალდარღვევისთვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ჯარიმების თანხა?

ა 1,000 ლარი

ბ 1,500 ლარი

გ 10,000 ლარი

დ 15,000 ლარი

11. თუ პირმა უსასყიდლოდ მიაწოდა საქონელი, ჩამოთვლილთაგან რომელ პირს ჩაეთვლება ეს ოპერაცია ეკონომიკურ საქმიანობად?:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს

ბ) არამეწარმე ფიზიკურ პირს

გ) მეწარმე ფიზიკურ პირს

დ) საქველმოქმედო ორგანიზაციას

12. 2021 წლის 20 მაისს საწარმოში, რომელიც არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული, საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. ამ თარიღამდე წლის განმავლობასი საწარმოს განხორციელებული აქვს 90,000 ლარის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები. ინვენტარიზაციის შედეგად პირს დაუფიქსირდა 10,020 ლარის საბაზრო ღირებულების სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების დანაკლისი. აღნიშნულ შემთხვევაში:

ა) 10,020 ლარი განიხილება 20 მაისს განხორციელებულ მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება დღგ-ით. ამასთან დაჯარიმდება 1,002 ლარით.

ბ) დანაკლისის მიხედვით საწარმოს დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება არ წარმოექმნება. პირი დაჯარიმდება 1,002 ლარით.

გ) 10,020 ლარი განიხილება 20 მაისს განხორციელებულ მიწოდებად და შესაბამისად დაიბეგრება დღგ-ით. ამასთან დაჯარიმდება 5,010 ლარით.

დ) დანაკლისის მიხედვით საწარმოს დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება არ წარმოექმნება და პირი არ დაჯარიმდება.

13. შპს „მამული“ მცხეთის რაიონში 2002 წლიდან ფლობს 650,000 მ2 სათიბ მიწას, ხოლო 2016 წლის 15 აგვისტოს იმავე მცხეთის რაიონში მიიღო ახლადასათვისებელი 210,000 მ2 სახნავი მიწა. მცხეთაში ადგილობრივი თვითმართველობის შესაბამისი ორგანოების მიერ დადგენილია სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის შემდეგი განაკვეთები:

- 1 ჰა სახნავ მიწაზე – 82 ლარი;

- 1 ჰა სათიბ მიწაზე – 20 ლარი.

რამდენია საზოგადოების 2018 წლის ქონების (მიწის) გადასახადის თანხა?

ა 1,300 ლარი

ბ 1,722 ლარი

გ 3,022 ლარი

დ 5,750 ლარი

14. საზოგადოება აშენებს სასტუმროს ქ. თბილისში, რომლის მშენებლობაც შეჩერებულია. დაუმთავრებელი მშენებლობის საბალანსო ღირებულებამ როგორც 31.12.2017 წ. ასევე, 31.12.2018 წ. მდგომარეობით შეადგენს 3,400,000 ლარი. საზოგადოება ასევე ფლობს შენობას ქ. ქუთაისში, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებულია 20.11.2017-ში. აღნიშნული შენობა წარმოადგენს სამედიცინო კორპუსს, რომელიც გამოიყენება სამედიცინო საქმიანობისათვის. სამედიცინო კორპუსი საბალანსო ღირებულება 2,500,000 ლარს.

ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე (გარდა მიწისა) ქონების გადასახადის განაკვეთი შემდეგი ოდენობით არის დადგენილი:

- ქ. თბილისში - 1%,
- ქ. ქუთაისში - 0.8%.

რამდენია საზოგადოების 2018 წლის ქონების გადასახადის თანხა?

ა 20,000 ლარი

ბ 34,000 ლარი

გ 52,200 ლარი

დ 54,000 ლარი

15. თუ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული და ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმები, მაშინ:

ა) გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები.

ბ) გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის ოფიციალურად გამოქვეყნებული და ძალაში შესული ნორმატიული აქტები.

გ) გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობისაგან განსხვავებული ნორმები.

დ) გამოიყენება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული ნორმები.

16. ვინ არის უფლებამოსილი შემოიღოს ადგილობრივი გადასახადები?

ა საქართველოს მთავრობა

ბ საქართველოს პარლამენტი

გ ფინანსთა მინისტრი

დ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

17. საწარმო იჯარის ღირებულებას უნაზღაურებას ფიზიკურ პირს, რომელიც ინდივიდუალურ მეწარმედ არ არის რეგისტრირებული და არ არის დღგ-ის გადამხდელი. რა ვადაში უნდა წარუდგინოს მან საგადასახადო ორგანოს მონაცემები გადახდილი თანხის შესახებ?

ა მომდევნო თვის 15 რიცხვამდე

ბ მომდევნო წლის 15 ნოემბრამდე

გ მომდევნო წლის 1 აპრილამდე

დ მონაცემები საგადასახადო ორგანოს არ წარედგინება

18. გადასახადის გადამხდელმა 2015 წლის მოგების გადასახადის დეკლარაცია დააზუსტა 2018 წლის 29 დეკემბერს. ამ დეკლარაციის მიმართ საგადასახადო შემოწმების ხანდაზმულობის ვადა მთავრდება:

ა 2018 წლის 31 დეკემბერს

ბ 2019 წლის 31 დეკემბერს

გ 2020 წლის 31 დეკემბერს

დ 2021 წლის 31 დეკემბერს

19. ფიზიკურმა პირმა უკანონო გზით მიიღო შემოსავალი. ეს შემოსავალი:

ა არ დაიბეგრება, ვინაიდან გადასახადით იბეგრება მხოლოდ მართლზომიერი გზით მიღებული შემოსავალი.

ბ არ დაიბეგრება და საქმე გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

გ დაიბეგრება, ვინაიდან შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი კანონიერება სადავოა.

დ არ დაიბეგრება, ვინაიდან უკანონო გზით მიღებული შემოსავალი შემოსავლად არ ითვლება.

20. დასაშვებია თუ არა ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება და ცალკეული პირის გადასახადიდან განთავისუფლება?

ა დასაშვებია.

ბ აკრძალულია.

გ დასაშვებია მხოლოდ მსხვილ გადამხდელებისათვის.

დ დასაშვებია ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით.

ბ ნაწილი - ამოცანები

მიაქციეთ ყურადღება!

1. ეს ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ძალაში იყო **2022 წლის 1 თებერვლის** მდგომარეობით;
2. ამოცანის ამოხსნის დროს მხედველობაში არ მიიღება ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებული სახელმწიფოს მიერ მიღებული რეგულაციები.
3. ტერმინი „ბრუტო-თანხა“ მოიცავს გამოსაკლებ/დასაკავებელ გადასახადს, ხოლო სათანადო პირობების არსებობისას - საპენსიო შენატანსაც, ტერმინი „ნეტო-თანხა“ კი გულისხმობს სუფთა (ნარჩენ) თანხას ყველა დაკავების შემდეგ“.
4. ამოცანის პირობაში მოცემული ყველა პირი ჩართულია საპენსიო სისტემაში.
5. რეკომენდირებულია ჯერ შეავსოთ სამუშაო რვეულის მონაცემები, შემდეგში მიღებული თანხები გადაიტანოთ ხელფასის დარიცხვის უწყისში და ბოლოს შეავსოთ დეკლარაციის შესაბამისი უჯრები.

ამოცანა # 1

საშემოსავლო გადასახადი

შ.პ.ს. “**გზა და ხიდი**“ - ახორციელებს ხიდების და გზების მშენებლობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. საგადასახადო აღრიცხვაზე დგას 2017 წლის 1 მარტიდან, საიდენტიფიკაციო კოდი №404500328, იურიდიული მისამართი - თბილისი, ბაქრაძის ქ. № 8.

ნაწილი I. ხელფასის გამოანგარიშება

საწარმოს დაქირავებულ პირთა დარიცხული ხელფასი და სხვა სარგებელი გაცემულია 2021 წლის 28 თებერვალს. ამასთან, საზოგადოების დაქირავებულ პირთა სია და ყოველთვიური დარიცხული სახელფასო სარგო მოცემულია „ხელფასის დარიცხვის უწყისში“ დანართის სახით. დარიცხვის უწყისში მოცემულია „ბრუტო-თანხები“.

წინაპირობები:

1. **მონაცემები საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრისათვის:**

1.1. საწარმოს დირექტორის ბრძანებით, თანამშრომელებს - თ. ჟღენტს, ზ. ბუჩუკურს, ნ. ხადურს და კ. გოგავას დაერიცხათ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისათვის სახელფასო დანამატი (ბრუტო-თანხა) 300 ლარის ოდენობით, ხოლო ე. ლომიძეს, ი. დვალს და ლ. ნანსყანს დაერიცხათ პრემია (ბრუტო-თანხა) 400 ლარის ოდენობით.

დანამატის და პრემიის თანხა გაცემულია ხელფასთან ერთად – 28 თებერვალს.

- **გადაიტანეთ მონაცემები ხელფასის დარიცხვის უწყისში.**

1.2. საწარმოს დამფუძნებელთა გადაწყვეტილებისა და დირექტორის ბრძანების საფუძველზე 28 თებერვალს ლ. ნანსყანს ჩამოეწერა 2020 წლის 1 მარტს გაცემული 1 წლიანი სესხი 2,000 ლარის ოდენობით და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი. ხელშეკრულების თანახმად, სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 10%-ს.

იმავე ბრძანებით ლ. ნანსყანის სარგებლად ჩაითვალა აგრეთვე ვალის პატიების თანხაზე ბიუჯეტში გადასახდელი მხოლოდ საშემოსავლო გადასახადი.

- **გამოითვალეთ დაქირავებული პირის სარგებელი და გადაიტანეთ მონაცემები ხელფასის დარიცხვის უწყისში. (1 ქულა)**

1.3 21 თებერვალს, საქართველოს პირველი კონსტიტუციის დღესთან დაკავშირებით საწარმოს ყველა თანამშრომელს საჩუქრის სახით გადაეცა 1 ცალი სამახსოვრო გასაღების ბეჭედი (ბრელოკი). რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს 10 ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

- **გამოითვალეთ დაქირავებული პირების სარგებელი და გადაიტანეთ მონაცემები ხელფასის დარიცხვის უწყისში. (0.5 ქულა)**

1.4 საწარმოს ბრძანებით თ. ჟღენტი 2021 წლის 5-დან 24 თებერვლის ჩათვლით იმყოფებოდა მივლინებაში ზემო სვანეთში - დაბა მესტიაში. წარმოდგენილი საავანსო ანგარიშის მიხედვით მას მივლინების დროს გაწეული აქვს შემდეგი ხარჯები: მგზავრობა ტაქსით თბილისიდან ნატახტარის აეროპორტამდე 30 ლარი, თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულება მარშრუტით ნატახტარი-მესტია 65 ლარი, მიკროავტობუსით მგზავრობა მარშრუტით მესტია - თბილისი - 35 ლარი, მესტიაში სასტუმროში განთავსების ხარჯი 1 000 ლარი.

თ. ჟღენტს წარმოდგენილი აქვს თვითმფრინავით და მიკროავტობუსით მგზავრობისა და სასტუმროში განთავსების ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაქირავებულ პირზე მივლინებაში ყოფნის ხარჯების ასანაზღაურებლად ავანსის სახით 5 თებერვალს გაიცა 2 000 ლარი ნეტო-თანხა. საზოგადოების დირექტორის გადაწყვეტილებით მივლინების ზენორმატიული ხარჯი აღიარდა ხელფასის სახით გაცემულ თანხად.

- **გამოითვალეთ ამ ოპერაციის შედეგად თ. ჟღენტის მიერ მიღებული სარგებელი და გადაიტანეთ მონაცემები ხელფასის დარიცხვის უწყისში. (1 ქულა)**

მონაცემები საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული შემოსავლის განსაზღვრისათვის:

გაითვალისწინეთ, რომ:

1. ზ. ბუჩუკური მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირია. წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი 2,600 ლარის ოდენობით.

2. ი. დვალი მარტოხელა დედაა. წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი 4,000 ლარის ოდენობით.

3. კ. გოგავა ცხოვრობს და მუშაობს დაბა მესტიაში გზის მშენებლობაზე.

წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი 2,100 ლარის ოდენობით.

4. ლ. ნანსყანი ცხოვრობს და მუშაობს დაბა მესტიაში (მაღალმთიანი დასახლება) გზის მშენებლობაზე.

წლის დასაწყისიდან საანგარიშო პერიოდამდე მას დაერიცხა ხელფასი და სხვა სარგებელი 5,100 ლარის ოდენობით.

საგადასახადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობები შეღავათის შესახებ წარდგენილია საწარმოს ბუღალტერიაში.

მოგეთხოვებათ:

ა) ხელფასის დარიცხვის უწყისში გამოიანგარიშეთ საწარმოს თანამშრომლების მიერ თებერვლის თვეში ხელფასის სახით (მათ შორის სარგებელი) მიღებული დასაბეგრი შემოსავალი.

(თითოეული სწორი პასუხი - 0.5 ქულა, სულ - 3.5 ქულა)

ბ) ხელფასის დარიცხვის უწყისში გამოიანგარიშეთ საწარმოს თანამშრომლების მიერ თებერვლის თვეში მიღებული შემოსავლიდან დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი და ხელზე ასაღები თანხების სიდიდე.

(თითოეული სწორი პასუხი- 0.5 ქულა, სულ - 3.5 ქულა)

ნაწილი II. სხვა განაცემები და ინფორმაცია

განსაზღვრეთ ქვემოთ მოცემული თითოეული ოპერაციის შედეგად საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი ბაზა და გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, პასუხი ჩაწერეთ დეკლარაციაში, შესაბამის გრაფაში.

2. სხვა ოპერაციები:

2.1 საზოგადოებას თებერვალში განაწილებული და გადარიცხული აქვს დივიდენდები (ბრუტო-თანხით):

- ✓ რეზიდენტ ფიზიკურ პირზე **- პავლე პირველზე - 10,000 ლარი;**
- ✓ არარეზიდენტ, შეღავათიანი დაბეგვრის სახელმწიფოში (პანამა) რეგისტრირებულ ფიზიკურ პირზე - **რაულ მერკადერზე 10,000** ლარი;
- ✓ **შ.პ.ს. „ თბილისის გართობა“-ზე - 50,000** ლარი;
- ✓ შეღავათიანი დაბეგვრის სახელმწიფოში (ლიბანი) რეგისტრირებულ იურიდიულ პირზე **„მოჰამად ოღგი“ – 30,000** ლარი.

➢ **გამოითვალეთ ამ ოპერაციების მიხედვით საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.**

(2 ქულა)

2.2 საზოგადოებას ფიზიკური პირისგან პეტრე გიგანისგან ნაქირავები აქვს დაბა მესტიაში საცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების თანახმად ქირის ღირებულება, „ნეტო-თანხა“ შეადგენს **950** ლარს.

ხელშეკრულება რეგისტრირებულია და შეტანილია საგადასახადო ორგანოს საცხოვრებელი ფართების გამქირავებელ პირთა რეესტრში. 2021 წლის 27 თებერვალს ფიზიკურ პირს პეტრე გიგანს აუნაზღაურდა ქირის კუთვნილი თანხა.

- **გამოითვალეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი სარგებელი და საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.** **(0.5 ქულა)**

2.3 23 თებერვალს არარეზიდენტს – უნგრეთის ფირმა "ბოლერო"- ს გადაერიცხა აღებული 10%-ანი სესხის ძირის თანხა **150,000** ლარი და კუთვნილი პროცენტი. ხელშეკრულების თანახმად პროცენტის (ბრუტო) თანხა შეადგენს **15,000** ლარს. საქართველოს მთავრობასა და უნგრეთის მთავრობას შორის დადებულია ხალშეკრულება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ, რომლის თანახმად პროცენტის თანხა დაიბეგრება მხოლოდ იმ სახელმწიფოში, რომელსაც წარმოადგენს მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი. ცნობა უნგრეთის რეზიდენტობის შესახებ ფირმის მიერ წარდგენილია შ.პ.ს. "**გზა და ხიდში".**

- **გამოითვალეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი სარგებელი და საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.** **(0.5 ქულა)**

2.4 20 თებერვალს გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე, დაბა მესტიაში მუდმივად მცხოვრებმა ფიზიკურმა პირმა თ. შამფრიანმა სამშენებლო მასალის ტრანსპორტირებისათვის მიიღო სულ „ნეტო-თანხა" 2,400 ლარის ოდენობით.

- **გამოითვალეთ ამ ოპერაციის მიხედვით დასაბეგრი სარგებელი და საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.** **(0.5 ქულა)**

ნაწილი III. საინფორმაციო განაყოფის შევსება

3.1. 2021 წლის თებერვალში შესრულებული სამშენებლო და სხვა მომსახურების მოცულობამ შეადგინა **1,285,000** ლარი, ნაღდი ანგარიშსწორებით განხორციელებულმა ბრუნვამ **183,000** ლარი, აქედან საკონტროლო - სალარო აპარატის გამოყენებით **102,000** ლარი. ნაღდი ფულის ნაშთი თვის ბოლოსათვის სალაროში შეადგენს **22,225** ლარს, მოთხოვნა ანგარიშვალდებული პირის მიმართ **1,500** ლარს. თვის განმავლობაში 2 თანამშრომელზე საქვეანგარიშოდ გაცემულია **110,500** ლარი. 2020 წლის თებერვალში საგადასახადო ორგანოს მიერ საწარმოში ჩატარდა ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც გამოვლინდა სმფ–ის დანაკლისი **50,000** ლარის ოდენობით, ხოლო ზედმეტობა **65,000** ლარის ოდენობით.

(1.5 ქულა)

მოგეთხოვებათ:

ხელფასის უწყისიდან და 2.1-2.4 პუნქტების მიხედვით გამოთვლილი მონაცემები გადაიტანეთ გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადების 2021 წლის თებერვლის თვის დეკლარაციის შესაბამის უჯრებში, შეავსოთ დეკლარაციის სხვა აუცილებელი უჯრები და გამოიანგარიშოთ საანგარიშო თვის საშემოსავლო გადასახადის სიდიდე.

(5.5 ქულა)

(სულ: 20 ქულა)

მიაქციეთ ყურადღება!

1. ეს ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ძალაში იყო 2022 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

ამოცანა N2
მოგების გადასახადი
(ესტონური მოდელი)

შეავსეთ შპს "გეო ტრანსის" (საიდენტიფიკაციო №205200868, მისამართი: ქ. თბილისი, ბაქრაძის №8, დაფუძნების წელი - 2014), 2021 წლის აპრილის მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაცია და დანართები შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. აპრილის თვეში საწარმოს განხორციელებული აქვს შემდეგი ოპერაციები:

- შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (კვიპროსი) რეგისტრირებულ პირისზე - ნიკოლას მარანტზე გაცემული აქვს 50,000 ლარის (ეკვივალენტი €) 1 წლიანი 10%-იანი სესხი;
- შ.პ.ს. „გზა და მოგზაური" - ზე გაცემული აქვს 100,000 ლარის 2 თვიანი უპროცენტო სესხი
- საქართველოს პირადობის მოწმობის მქონე პირისზე - ვასილ მუზაევზე გაცემული აქვს $20,000 (ეკვივალენტი 67,000 ლარი) 2 წლიანი 12%-იანი სესხი.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში. (1.5 ქულა)**

2. 25 აპრილს ბზობის და აღდგომის დღეებთან დაკავშირებით საწარმოს მიერ უსასყიდლოდ გადაცემულია:

- საქველმოქმედო ფონდი „ხარება"- ს შემოწირულობა 2,500 ლარი;
- ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, საწარმოში დაქირავებით არ მომუშავე ფიზიკურ პირს - დურმიშხან ამილახვარს გადაეცა 997.10 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ღირებულების კვების პროდუქტები;
- შ.პ.ს „მერწმუნე"- ს გადაეცა 10, 000 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) ღირებულების ნამცხვრების (პასკების) საცხობი ღუმელი;

შენიშვნა: 2020 წელს საწარმოს წმინდა მოგებამშეადგინა 20,000 ლარი.

➢ **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში. (1.5 ქულა)**

3. **დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით:**

3.1. 3 აპრილს საწარმომ დამფუძნებელ ფიზიკურ პირებზე დივიდენდის სახით გაანაწილა 01.01.2017 წლამდე დაგროვილი მოგება – 100,000 ლარის ოდენობით. ბუღალტრული ინფორმაციის თანახმად გასულ პერიოდებში მიღებული აქვს შემდეგი მონაცემები:

– 2014 წლის ზარალი – 200,000 ლარი, გადახდილი მოგების გადასახადი – 10,500 ლარი;

– 2015 წლის წმინდა მოგება – 340,000 ლარი, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი – 21,000 ლარი;

– 2016 წლის წმინდა მოგება – 170,000 ლარი, დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადი – 30,000 ლარი.

3.2. 25 აპრილს ფიზიკურ პირებზე 2021 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან ავანსის სახით გაიცა დივიდენდი 30,000 ლარის ოდენობით.

- **გამოითვალეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, ჩასათვლელი მოგების გადასახადის თანხა და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციის დანართში 1.**

(2 ქულა)

4. საწარმოს ბალანსზე აღრიცხული ჰქონდა ორი მსუბუქი ავტომობილი, თითეულის ნარჩენი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 3,500 ლარს. ეს ავტომობილები შემფასებელი ფირმის მიერ შეფასებული იყო საბაზრო ღირებულებით, თითოეული 5,000 ლარად. 20 აპრილს ერთი ავტომობილი 7,000 ლარად გაიყიდა დამფუძნებელ საწარმოზე (წილი კაპიტალში 25%), ხოლო მეორე 1,500 ლარად სსიპ „64-ე საჯარო სკოლა“- ზე.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში.** **(1 ქულა)**

5. საწარმოს შ.პ.ს. „კაპიტალი“ - სგან აღებული აქვს ერთწლიანი სესხი 100,000 ლარის ოდენობით, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 36%-ს. 15 აპრილს მსესხებელს გადაერიცხა მიმდინარე თვის საპროცენტო სარგებელი - 3,000 ლარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში.** **(0.5 ქულა)**

6. 30 აპრილს საწარმოს ბანკის ანგარიშზე ჩაირიცხა დეპოზიტის თვიური პროცენტი 15,500 ლარი,

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული თანხა და გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში.**

(0.5 ქულა)

7. 15 აპრილს თავისუფალ ინსდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებული ურთიერთდამოკიდებული საწარმოსგან 15,000 ლარად შეძენილია სატვირთოს მისაბმელი. ექსპერტის შეფასებით, მისაბმელის საბაზრო ღირებულება შეადგენს 10,000 ლარს.

- **განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემი სამუშაო რვეულში. (0.5 ქულა)**

8. საწარმოს მიერ 2018 წლის თებერვალში ტურისტული ზონის საწარმოსათვის გაცემული 10,000 ლარის სესხიდან (რომელიც დაიბეგრა თებერვალშივე და აისახა მოგების გადასახადის 18.1.4 უჯრაში), 23 აპრილს დაუბრუნდა 2,000 ლარი და მიიღო ამ სესხზე დარიცხული პროცენტი - 500 ლარი.

- **განსაზღვრეთ მოგების გადასახადით ჩასათვლელი თანხა და გადაიტანეთ მონაცემი 1² დანართში და დეკლარაციაში. (0.5 ქულა)**

9. მაღალმთიან რეგიონში რეგისტრირებული საწარმოსთვის იანვრის თვეში გადარიცხული 50,000 ლარის ავანსის (რომელიც დაიბეგრა იანვარში და აისახა მოგების გადასახადის 18.1.3 უჯრაში) სანაცვლოდ 3 აპრილს მიღებულია სხვადასხვა საქონელი თანხით 25,000 ლარი.

- **განსაზღვრეთ მოგების გადასახადით ჩასათვლელი თანხა და გადაიტანეთ მონაცემი 1² დანართში და დეკლარაციაში. (0.5 ქულა)**

10. 16 აპრილს საწარმომ გადაუხადა ავანსი:

ა) 8,000 ლარი ახალქალაქში რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს - სექტემბერში მოსაწოდებელი საქონლის (კარტოფილის) ღირებულების (20,000 ლარი) ნაწილი;

ბ) 10,000 ლარი ს.ს. „წყალი მარგებელის“ (ნაბეღლავი) – მინერალური წყლის ივნის-აგვისტოში მიწოდებისათვის.

- **განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში. (1 ქულა)**

11. 30 აპრილს საწარმოში განხორციელდა სხვადასხვა ავტოგასამართ სადგურებში შეძენილი საწვავის ხარჯად აღიარების ოპერაციები, საერთო თანხით **20,900** ლარი. აქედან ნავთობპროდუქტების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებით შეძენილია **15,000** ლარის საწვავი, დანარჩენი საწვავის შეძენაზე წარდგენილია საკონტროლო-სალარო აპარატის ჩეკები.

- **განსაზღვრეთ მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი და გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულში. (0.5 ქულა)**

12. **გადაიტანეთ მონაცემები სამუშაო რვეულიდან მოგების გადასახადის დეკლარაციაში და გამოიყვანეთ დასარიცხი/შესამცირებელი თვის მოგების გადასახადის სიდიდე.**

(10 ქულა)

(სულ: 20 ქულა)

მიაქციეთ ყურადღება!
ამოცანა შედგენილია საგადასახადო კანონმდებლობის იმ ნორმების მიხედვით, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან.

ამოცანა # 3
დამატებული ღირებულების გადასახადი

შ.პ.ს. „გურიელმა“ (საიდენტიფიკაციო #204200583, იურიდიული მისამართი - თბილისი, გობრონიძის ქ. #8) საგადასახადო რეგისტრაცია გაიარა 2018 წლის 16 აპრილს, ხოლო 2019 წლის 15 დეკემბრიდან რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად. 2021 წლის თებერვალში საწარმოს განხორციელებული აქვს შემდეგი სახის ოპერაციები:

1. 2021 წლის 1 თებერვალს საზოგადოებამ (მეიჯარე) გააფორმა საოფისე ფართის საიჯარო ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, საოფისე ფართი ხელშეკრულების ვადის დამთავრების შემდეგ გადადის მოიჯარეს საკუთრებაში. საოფისე ფართის ღირებულება ხელშეკრულების დასაწყისში შეადგენს **100,000 ლარს** (დღგ-ის გარეშე), სალიზინგო პერიოდი არის 50 თვე და ყოველთვიური ცვეთა შეადგენს **2,000 ლარს**. წლიური საპროცენტო სარგებელი უდრის 20%-ს.

   ხელშეკრულების თანახმად 15 თებერვალს მოიჯარემ წინასწარ გადაიხადა 20,000 ლარი.

   - **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.**

   (1 ქულა)

2. 2021 წლის 28 იანვარს საზოგადოებამ შეიძინა 100 ცალი გასაღების ბეჭდები (ბრელოკები), სულ **500 ლარის** (დღგ-ის ჩათვლით) და იანვარშივე განახორციელა დღგ-ს ჩათვლა. თებერვლის თვეში შეძენის ფასად 50 ცალი ბრელოკი საჩუქრის სახით გადაეცა ფიზიკურ პირებს, ხოლო 50 ცალი დაქირავებით მომუშავე პირებს.

   - **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ის სიდიდე.**

   (1 ქულა)

3. 2020 წლის 27 თებერვალს საზოგადოებამ განახორციელა 30 მგზავრის ტრანსპორტირება თბილისიდან ათენში. მგზავრობის ღირებულება ერთ მგზავრზე შეადგენს **140 ლარს** (ეკვივალენტი $) სახმელეთო მანძილი პუნქტებს შორის შეადგენს 2900 კმ. აქედან საქართველის ტერიტორიაზე 380 კმ.

   - **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.**

   (1.5 ქულა)

4. საზოგადოების ერთ-ერთ საქმიანობას წარმოადგენს აკრედიტირებული კერძო საგანმანათლებლო საქმიანობა. ამისათვის საზოგადოებას ქ. ზესტაფონში გახსნილი აქვს სასწავლო ცენტრი, სადაც ამზადებენ სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტებს.

საგანმანათლებლო საქმიანობიდან თებერვლის თვეში მიღებული შემოსავალი შეადგენს **15,000** ლარს, მოსწავლეების სწავლის ადგილამდე ყოველდღიურმა სატრანსპორტო ხარჯმა თებერვალში შეადგინა - **1,000** ლარი, სასწავლებელში მოსწავლეთა ორჯერადი კვების ხარჯმა კი - **4,000** ლარი.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციების მიხედვით საანგარიშო თვის დასაბეგრი თანხა და დღგ-ს სიდიდე.**

(0.5 ქულა)

5. 2021 წლის 8 თებერვალს საზოგადოებამ #26831 სასაქონლო დეკლარაციით განახორციელა **40,000** კგ. ახალი კარტოფილის იმპორტი, რომლის საინვოისო ღირებულებამ შეადგინა **$2,000**. საქონელი მიწოდებულია FCA-თბილისი პირობით. არარეზიდენტ სატრანსპორტო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, სატრანსპორტო მომსახურების ღირებულება შეადგენს **750** დოლარს, ხოლო დაზღვევის ხარჯები **250** დოლარს. (ლარის კურსი დოლარის მიმართ საბაჟო გაფორმების მომენტისათვის უდრის 3.3). საბაჟო კონტროლის განხორციელებისას მიღებული იყო გადაწყვეტილება **საქონლის საბაჟო ღირებულების კორექტირების შესახებ. კორექტირების კოეფიციენტმა შეადგინა 1.5.**

შენიშვნა: საქონელი იბეგრება 12%-ანი იმპორტის გადასახადით.

- **განსაზღვრეთ საქონლის საბაჟო ღირებულება, იმპორტის გადასახადის სიდიდე და დღგ-ს თანხა.**

(2.5 ქულა)

6. 2020 წლის 18 დეკემბერს საზოგადოებამ შეიძინა **20,000** ლარის (დღგ-ს ჩათვლით) იმპორტირებული და **5,000** ლარის ადგილობრივი ბინადარი ცხოველისგან მიღებული რძისგან წარმოებული ყველი, სულ **25,000** ლარის.

თებერვალში აღმოჩნდა, რომ შესყიდული საქონლის ნაწილს გაუვიდა რეალიზაციის ვადა და მხარეთა შეთანხმებით, 2021 წლის 20 თებერვალს შემენის ფასად **3,000** ლარის (დღგ-ის ჩათვლით) იმპორტირებული ყველი და **1,000** ლარის ადგილობრივი წარმოების ყველი დაუბრუნდა გამყიდველს, რაზეც მის მიერ გამოიწერა დღგ-ს კორექტირების საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

- **განსაზღვრეთ ოპერაციის მიხედვით ჩასათვლელი დღგ-ს კორექტირების თანხა.**

(1 ქულა)

7. 2021 წლის 28 იანვარს საზოგადოებამ შეიძინა 2,000 ლიტრი. საწვავი, **4,800** ლარად (დღგ-ს ჩათვლით) და მთლიანად განახორციელა დღგ-ს ჩათვლა. საწვავის ნაშთიდან თებერვლის თვეში 1,500 ლიტრი . საწვავი დაიხარჯა ქ.ზესტაფონში სასწავლო ცენტრის მსმენელების

გადასაყვანად, ხოლო დანარჩენი საწვავი დაიხარჯა საერთო ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

- **განსაზღვრეთ ამ ოპერაციის მიხედვით აღსადგენი დღგ-ის თანხა.** **(1.5 ქულა)**

8. თებერვლის თვეში საზოგადოებამ განახორციელა 10,000 კგ.შაქრის მიწოდება თიზ-ის საწარმოსთვის. ხელშეკრულების თანახმად, 1 კგ. შაქრის ღირებულება შეადგენს **1.30** ლარს, რაზეც გამოიწერა შესაბამისი დოკუმენტები.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

(0.5 ქულა)

9. საზოგადოებამ:

ა) 5 თებერვალს შეიძინა 10,000 ლიტრი საკვები ეთილის სპირტი, კონცენტრაციით 85 მოც.% (სეს ესნ კოდი 2207)[1] და გადაიხადა **135,700 ლარი** (აქციზის და დღგ-ის ჩათვლით);

ბ) შეძენილი სპირტიდან საზოგადოებამ თებერვლის თვეში 3,000 ლიტრი სპირტი გამოიყენა აქციზური საქონლის - 40%-ანი არყის (სეს ესნ კოდი **2208 60**)[2] გამოშვებაზე და ჩამოასხა 0.5 ლიტრის ტევადობის 6,000 ბოთლი;

გ) 500 ლიტრი ეთილის სპირტი გამოყენებულია არააქციზური საქონლის (საწმენდი საშუალება) საწარმოებლად ;

დ) 25 თებერვალს 4,000 ბოთლი არაყი მიწოდებულია სადისტრიბუციო კომპანიაზე. ერთი ბოთლის მიწოდების ფასი შეადგენს **5 ლარს** (აქციზის და დღგ-ს გარეშე).

შენიშვნა:

1. სსკ. თანახმად სეს ესნ 2207 (ეთილის სპირტი) კოდში შემავალ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **7.5** ლარს (ზომის ერთეული - 1 ლიტრი სუფთა სპირტი).

2. სსკ. თანახმად სეს ესნ **2208 60 110 00** (არაყი) კოდში შემავალ საქონელზე აქციზის განაკვეთი შეადგენს **15** ლარს (ზომის ერთეული - 1 ლიტრი სუფთა სპირტი).

3. ერთი ბოთლი არყის სარეალიზაციო ფასია **5 ლარი** (აქციზის და დღგ-ის გარეშე).

განსაზღვრეთ:

1. **სპირტის შეძენის ოპერაციის შედეგად ჩასათვლელი აქციზის და დღგ- ს თანხა.**
2. **არყის რეალიზაციის შედეგად დასარიცხი აქციზის და დღგ- ს თანხა.**

(4 ქულა)

10. 25 თებერვალს საზოგადოებამ უკრაინელი რეზიდენტი ფიზიკური პირის დაკვეთით დაასრულა და ჩააბარა ოდესის მახლობლად მდებარე მიწის ნაკვეთზე დასასვენებელი კოტეჯის საპროექტო სამუშაოები. სამუშაოს ღირებულება შეადგენს **200,000 უკრაინულ გრივნას**. ლარის მიმართ 10 უკრაინული გრივნას გაცვლის ოფიციალური კურსი უდრის 1.1876.

- **განსაზღვრეთ დასაბეგრი ოპერაციის სიდიდე და დასარიცხი დღგ-ს თანხა.**

(0.5 ქულა)

11. თებერვლის თვეში საერთო ადმინისტრაციული მიზნებისათვის საწარმოს გაწეული აქვს სხვადასხვა გაუმიჯნავი ხარჯები (საიჯარო ქირა, ელ. ენერგია, გაზი, საწვავი, საკანცელარიო საქონელი, კომპიუტერული ხარჯები, აუდიტორული და იურიდიული მომსახურება და ა.შ.) საერთო თანხით **30,000 ლარი** (დღგ-ს ჩათვლით). გაწეულ ხარჯებზე გამოწერილია შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურები.

შენიშვნა: წინა წელს დღგ-ს ჩასათვლელი ნაწილის წილადობის მაჩვენებელი უდრიდა 80%-ს.

- **განსაზღვრეთ პროპორციული წესით ჩასათვლელი დღგ-ს თანხა.** **(1 ქულა)**

12. **განსაზღვრეთ ოპერაციების შედეგები სამუშაო რვეულში, გადაიტანეთ მონაცემები დეკლარაციაში და განსაზღვრეთ საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში გადასახდელი/ზედმეტად გადახდილი დღგ-ის თანხა.**

(5 ქულა)

(სულ: 20 ქულა)